

დებულება

შპს "საქართველოს რკინიგზის" სადგურის ლიანდაგებში კერძო კომპანიების კუთვნილი ლოკომოტივების გამოსვლის შესახებ

1. ზოგადი მოთხოვნები

- 1.1. ლოკომოტივის მფლობელი კომპანია ლოკომოტივის რკინიგზის სადგურის ლიანდაგში გამოსვლის უფლების მოსაპოვებლად აკეთებს წერილობით მოთხოვნას შპს "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობის სახელზე, სადაც მითითებული უნდა იყოს:
 - ა) სადგური და სადგურის ლიანდაგები, სადაც უნდა აწარმოოს სამუშაოები;
 - ბ) ლოკომოტივის ტიპი და ნომერი.
- 1.2. ლოკომოტივზე უნდა ეყენოს:
 - ა) სიჩქარზომის აპარატი (მექანიკური, ელექტრონული ან სხვა);
 - ბ) სალოკომოტივო სიგნალიზაცია აღჭურვილი უნდა იყოს ავტოსდექისა და სიფხიზლის სახელურის მოწყობილობებით, რომელიც უზრუნველყოფს ლოკომოტივის ავარიულ გაჩერებას 20-30 წამში;
 - გ) სადგურის სამანევრო სიხშირეზე მომუშავე რადიოკავშირის მოწყობილობები;
 - დ) ლოკომოტივის ტექნიკური მდგომარეობა უნდა აკმაყოფილებდეს შპს "საქართველოს რკინიგზა"-ზე მოქმედ ინსტრუქციებსა და დებულებებს და რკინიგზაზე მოქმედი რემონტის ნორმატივების შესაბამისად არაუგვიანეს 7,5 თვეში უნდა იქნეს ჩატარებული მიმდინარე რემონტი მრ-1-ის მოცულობის ფარგლებში, ლოკომოტივის პასპორტში შესაბამისი აღნიშვნით, შპს "საქართველოს რკინიგზის" ან სხვა საწარმოებში, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნოლოგიური მოწყობილობებით.
- 1.3. ლოკომოტივის მემანქანესა და თანაშემწეს უნდა გააჩნდეს ლოკომოტივის მართვის შესაბამისი მოწმობები.
- 1.4. ლოკომოტივის მემანქანესა და თანაშემწეს უნდა გააჩნდეთ სამედიცინო კომისიის დასკვნა სპეციალური სამედიცინო დაწესებულებიდან აღნიშვნით – ვარგისია მემანქანედ, მემანქანის თანაშემწედ.

2. კერძო კომპანიის ლოკომოტივის შპს "საქართველოს რკინიგზის" სადგურის ლიანდაგებში გამოსვლის უფლების მოსაპოვებლად საჭირო პროცედურები

- 2.1 შპს "საქართველოს რკინიგზის" მოძრაობის უსაფრთხოების ინსპექცია, სალოკომოტივო დეპარტამენტის წარმომადგენელთან ერთად, ახდენს ლოკომოტივის ტექნიკურ გასინჯვას, რის შესახებაც ადგენს ქმანს.
- 2.2 სალოკომოტივო ბრიგადები და მატარებლის შემადგენლები ეცნობიან სადგურის ტექნიკურ განმაკარგულებელ აქტს და აბარებენ გამოცდას სადგურში არსებულ კომისიას.
- 2.3 სალოკომოტივო ბრიგადებს უტარდებათ საცდელი პრაქტიკული გაცილება (გამოცდა), რომელსაც აწარმოებს სალოკომოტივო სამმართველოს მემანქანე-ინსტრუქტორი, რაზედაც აკეთებს შესაბამის აქტს.
- 2.4 ლოკომოტივის მემანქანეები აბარებენ გამოცდას შპს "საქართველოს რკინიგზის" სალოკომოტივო დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში, შპს "საქართველოს რკინიგზის" ტექნიკური ექსპლუატაციის წესების, სიგნალიზაციის, მატარებელთა მოძრაობისა და სამანევრო ინსტრუქციების ცოდნის შესახებ.

- 2.5 მემანქანეებმა შ.პ.ს. “საქართველოს რკინიგზის” სალოკომოტივო დეპარტამენტის კომისიაში გამოცდაზე დასაშვებად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
- ა) მემანქანის მართვის მოწმობის ასლი. B
 - ბ) სამედიცინო კომისიის დასკვნა. G
 - გ) ტექნიკურ განმკარგულებელ აქტის ცოდნის დამადასტურებელი წერილობითი ცნობა საგამოცდო კომისიის თავჯდომარის ხელმოწერით. დ) საცდელი პრაქტიკული გაცილების აქტი. EE
- 2.6 სალოკომოტივო ბრიგადებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ ამ დებულების მოთხოვნებს, უკეთდებათ აღნიშვნა მართვის მოწმობაში (უფლების მინიჭების შესახებ სადგურისა და სადგურის ლიანდაგების მითითებით) და მოწმდება სალოკომოტივო დეპარტამენტის ბეჭდით და საგამოცდო კომისიის თავჯდომარის ხელმოწერით.
- 2.7 სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტი და ლოკომოტივის მფლობელი კომპანია ერთობლივად ადგენენ ლოკომოტივის სადგურში მუშაობის ინსტრუქციას.
- 2.8 არსებული ინსტრუქციის ყველა პუნქტის დაკმაყოფილების შემთხვევაში ფილიალ “სატვირთო გადაზიდვების ფილიალის” დირექტორის განკარგულებით ლოკომოტივი დაიშვება რკინიგზის სადგურის ლიანდაგებში სამუშაოდ.

3. მოძრაობისა და მანევრების წარმოების უსაფრთხოებისა და კონტროლის უზრუნველსაყოფად

- 3.1 სალოკომოტივო ბრიგადები, რომლებიც მოიპოვებენ რკინიგზის ლიანდაგებში გამოსვლის უფლებას, ვალდებული არიან გაიარონ პერიოდული სამედიცინო შემოწმება შ.პ.ს. “საქართველოს რკინიგზაზე” დამტკიცებული პერიოდულობის მიხედვით.
- 3.2 ლოკომოტივის მფლობელი უზრუნველყოფს სალოკომოტივო ბრიგადებზე:
- ა) სამარშრუტო ფურცლის გაცემას მუშაობის დაწყების წინ, რომელშიც აღნიშნული იქნება მემანქანის სახელი გვარი, მუშაობის დაწყების დრო და ლოკომოტივის ნომერი რომელიც დაფიქსირებული იქნება პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და ბეჭდით.
 - ბ) სალოკომოტივო ბრიგადების წინასარეისო სამედიცინო შემოწმებას, რომელიც დაფიქსირებული იქნება სამარშრუტო ფურცელში ექიმის ან პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით.
- 3.3 სალოკომოტივო ბრიგადები ვალდებული არიან ორ წელიწადში ერთხელ ჩააბარონ გამოცდები ცოდნის შემოწმების მიზნით სალოკომოტივო სამმართველოს კომისიაში.
- 3.4 შ.პ.ს. “საქართველოს რკინიგზის” შესაბამისი სტრუქტურები 3 თვეში ერთხელ ამოწმებენ ლოკომოტივის ტექნიკურ მხარეს, რაზედაც ადგენენ შესაბამის აქტს.
- 3.5 მემანქანე ვალდებულია სამუშაოზე თან იქონიოს მართვის უფლების მოწმობა.
- 3.6 სადგურებს, სადაც კერძო კომპანიის ლოკომოტივები მოიპოვებენ მუშაობის უფლებას, უნდა გააჩნდეთ მემანქანეების მართვის მოწმობის ასლი და ლოკომოტივის ტექნიკური მდგომარეობის აქტი.

კატეგორიულათ იკრძალება კერძო კომპანიის იმ ლოკომოტივების და მემანქანების შ.პ.ს საქართველოს რკინიგზის ლიანდაგებში გამოსვლა რომლებსაც არ გააჩნიათ ამ დებულების თანახმად მოპოვებული უფლება.

კერძო კომპანიების კუთვნილი ლოკომოტივების გამოსვლა გადასარბენზე დაიშვება გენერალური დირექტორის ნებართვით და რეგულირდება ცალკე დებულებით.